ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
№ 60-7-219-5663

ქ. თბილისი 30.12 2019 წ

სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში ,,დამკვეთად“ წოდებული), წარმდგენილი მისი მმართველთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის (რწმუნებულების/ მინდობილობის დამოწმება #181378706 09.11.2018წ.) სახით, ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში ,,დაცვად“ წოდებული), მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს უფროსის **კონსტანტინე მამისეიშვილის** სახით, მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „დაცვა“ იღებს ვალდებულებას, განახორციელოს „დამკვეთის“ ავტომობილისა და ტვირთის დაცვა-გაცილება, მისი საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების დროს (CPVკოდი: 79700000, 7971000,7971500);

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით „დამკვეთი“ იღებს ვალდებულებას „დაცვას“ გადაუხადოს გაწეული დაცვის მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

2.1. დამკვეთი ვალდებულია:

2.1.1. აცნობოს „დაცვას“ დაცვა-გაცილების შესახებ ორი დღით ადრე;

2.1.2. „დამკვეთის“ ტვირთის ტრანსპორტირება განახორციელოს მის მიერ წარმოდგენილი ავტოსანტრანსპორტო საშუალებებით და საკუთარი ხარჯით.

2.1.3. ავტომობილისა და ტვირთის დაცვა-გაცილების დაწყებამდე „დამკვეთის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია ხელი მოაწეროს „დაცვის“ მიერ წარდგენილ „ადგილზე გამოცხადებისა და დათვალიერების“, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ, „მიღება-ჩაბარების“ აქტებს;

2.1.4. შეუქმნას „დაცვას“ სამუშაო პირობები, კერძოდ: დაცვა-გაცილების პერიოდში ტრანსპორტირებაში მონაწილე „დამკვეთის“ წარმომადგენლებმა (მძღოლი, ოპერატორი და სხვ.) უზრუნველყონ „დაცვის“ წარმომადგენლების კანონიერი მოთხოვნა - მითითებების შესრულება ავტომობილისა და ტვირთის უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით;

2.1.5. „დაცვის“ თანამშრომლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს წერილობით „დაცვას“;

2.1.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული ღირებულების „დაცვისათვის“ გადახდა მოახდინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

2.2. „დაცვა“ ვალდებულია:

2.2.1. დაცვა-გაცილებისთვის გამოყოს სპეციალური შეფერილობის, სანათი და ხმოვანი მოწყობილობით აღჭურვილი „დაცვის“ ავტომობილი;

2.2.2. „დამკვეთის“ ავტომობილისა და ტვირთის დაცვა-გაცილება განახორციელოს შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი თანამშრომლებით;

2.2.3. პოლიციის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

2.2.4. უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად „დამკვეთის“ ტვირთის დაცულობა, ასევე უზრუნველყოს ამავე ტვირთის უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა ფორს-მაჟორული შემთხვევისა;

2.2.5. „დაცვა“ უფლებამოსილია არ განახორციელოს დაცვა-გაცილება თუ „დამკვეთის“ მიერ არ შესრულდება ხელშეკრულების 2.1.4 ქვეპუნქტის მოთხოვნები და „დამკვეთი“ არ შეასრულებს ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.6 „დაცვამ“ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაცვა-გაცილების მომსახურება უნდა განახორციელოს ეტაპობრივად, 2020 წლის განმავლობაში.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი და პირობები

3.1 ხელშეკრულების საერთო, (საორიენტაციო) ღირებულება შეადგენს 25 000 (ოცდახუთი ათას) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ერთი ავტომობილისა და ტვირთის დაცვა-გაცილების მომსახურების ღირებულება დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შეადგენს:

	კატეგორია	გადასაზიდი ტვირთების ზომები		მომსახურების ღირებულება ერთ ავტომობილზე		
				20კმ-ს ჩათვლით	20 კმ-ს ზევით - 100კმ-ს ჩათვლით	100კმ-ს ზევით
1	არაგაბარიტული(მსხვილგაბარიტიანი) ტვირთების დაცვა-გაცილება	სიმაღლე	4.0 მ-დან - 6.0 მ-მდე	200 ლარი	200 ლარი + 20 კმ-ს ზევით ყოველ 1კმ-ზე 6 ლარი	680 ლარი + 100 კმ-ს ზევით ყოველ 1კმ-ზე 5 ლარი
		სიგანე	3.0 მ-დან - 6.0 მ-მდე			
		სიგრძე	24.0 მ-დან - 40.0 მ-მდე			

3.3. ,,დამკვეთი” ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება ,,დაცვას” გადაუხადოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა:

4.1. გამოძახების საფუძველზე ან მხარეებს შორის შეთანხმებულ დროზე „დაცვის“ ეკიპაჟის გასაცილებელი ავტომანქანისა და ტვირთის ადგილსამყოფელზე გამოცხადების შემდეგ (რაც უნდა დადასტურდეს შესაბამის აქტზე მხარეთა ხელმოწერებით), ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტომანქანისა და ტვირთის დაცვა-გაცილების დამკვეთის, დამკვეთის წარმომადგენლის ან გასაცილებელი ავტომანქანის მძღოლის მიზეზით (მათ შორის ტვირთის წონასთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციის მიერ გაჩერების გამო) 2 (ორი) საათზე მეტი ვადით დაცვა-გაცილების გადადების (შეფერხების) შემთხვევაში, „დამკვეთი“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო 300 (სამასი) ლარი თითოეულ ეკიპაჟზე და ყოველ მომდევნო გადაცილებულ 1 (ერთი) საათზე თითოეულ გასაცილებელ ავტომანქანაზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

4.2. ავტომობილისა და ტვირთის დაცვა-გაცილების განხორციელების პროცესის „დამკვეთის“, დამკვეთის წარმომადგენლის ან გასაცილებელი ავტომანქანის მძღოლის მიზეზით (მათ შორის ტვირთის წონასთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციის მიერ გაჩერების გამო) 2 (ორი) საათზე მეტი ვადით დაცვა-გაცილების შეფერხების შემთხვევაში, „დამკვეთი“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ერთჯერადად 300 (სამასი) ლარი

თითოეულ ეკიპაჟზე და ყოველ მომდევნო გადაცილებულ 1 (ერთი) საათზე თითოეულ გასაცილებელ ავტომანქანაზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
4.3. „დაცვის“ მიზეზით დაცვა-გაცილების 2 (ორი) საათზე მეტი ვადით შეფერხების შემთხვევაში, „დაცვა“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ამ მუხლის 4.1. პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი:
5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით. კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან/და ქმედებებით (ფორს-მაჟორული გარემოებები), რაც დადასტურებულია უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოების მიერ.
5.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას (ამის პირველივე შესაძლებლობისას) მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ წერილობით, ელექტრონულ მისამართზე ან ტელეფონით შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ.
5.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე (დამთავრებამდე).

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:
6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2021 წლის 1 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 7. სხვა პირობები:
7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;
7.2. მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებაც მეორე მხარეს აცნობებენ 10 (ათი) დღით ადრე;
7.3. სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. 1 (ერთი) თვის მანძილზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს;
7.4. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ინახება „დამკვეთთან“, ხოლო 2 (ორი) „დაცვასთან“;
7.5. ნებისმიერი შეტყობინება მასზე თანდართულ დოკუმენტთან ერთად, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხრის მისამართზე, მხარეები უფლებამოსილნი არიან გამოიყენენონ სატელოფონო კომუნიკაციის საშუალებებიც, რაც შემდგომში უნდა დადასტურდეს ამ პუნქტში აღნიშნული სახით;
7.6. ელექტრონული შეტყობინების არაუგვიანეს 2 (ორი) საათისა მიმღები მხარე ვალდებულია ასევე ელექტრონულად დაუდასტუროს გამგზავნ მხარეს შეტყობინების მიღება. სხვა შემთხვევაში შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად მასში გათვალისწინებული პირობებით.

7.7 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე–3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თავმჯდომარის 17.08.2015წ #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თანხმობის (SMP190004701) #4879 (12.12.2019წ) განკარგულებისშესაბამისად.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ,,შემსყიდველის“ მხრიდან უზრუნველყოფს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტოსისტემის“ ტრანსპორტის მონიტორინგის და სერვისის განყოფილების უფროსი დავით თევდორაშვილი.

მუხლი 9. კონფიდენციალურობა და გაუმჟღავნებლობა

9.1 მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO/IEC 27001 მიხედვით და შესაბამისად, შემდგომ ურთიერთობებში ითვალისწინებენ „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონფიდენციალურობისა და გაუმჟღავნებლობის პირობებს“, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge (ჩვენს შესახებ/შესყიდვები/კონტრაქტის პირობები).

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

,,დამკვეთი“

სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტოსისტემა“
მისამართი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204 995 176
სს „თიბისი ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის №GE02TB0600000102467636

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.12.30 13:59:57 +04'00'

მმართველთა საბჭოს წევრი **დ. ვარდიაშვილი**

,,დაცვა“

საქ. შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი
ელექტრონული ფოსტა: k.mamiseishvili@spd.ge
საიდენტიფიკაციო ნომერი: 211 350 928
მიმღების ბანკი_სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება_ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი_707117292

Konstantine Mamiseishvili
Digitally signed by Konstantine Mamiseishvili
Date: 2019.12.30 15:40:07 +04'00'

მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს უფროსი: **კ. მამისეიშვილი**